განმარტებითი ბარათი

,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს კანონის მოქმედი რედაქციის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია ,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული სიახლეების ინპლემენტაცია.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

დიპლომატიური სამსახურის აქტიურ რეზერვში ჩასარიცხი პირების თანამდებობათა ნუსხის დამტკიცება (გარდა საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოხელეებისა), მოქმედი რედაქციის თანახმად განეკუთვნება საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენციას. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებს, მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას, ხოლო ასეთი რეზერვის დამტკიცების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია, ,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,ლ" ქვეპუნქტი და 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი საჭიროებს შესაბამის შესწორებას. კერძოდ, წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, დიპლომატიური სამსახურის აქტიურ რეზერვში ჩასარიცხი პირების თანამდებობათა ნუსხის დამტკიცება (გარდა საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოხელეებისა) განეკუთვნება საქართველოს მთავრობის კომპეტენციას.

წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს საქართველოს მთავრობის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. აღნიშნული ცვლილება გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტიდან.

პროექტის თანახმად, შესაბამისი ცვლილება შედის კანონის მე-8 მუხლის პირველ პუნქტში, რომლის მიხედვით, გადაწყვეტილებებს დიპლომატიური წარმომადგენლობის დაფუძნებისა და ლიკვიდაციის შესახებ იღებს საქართველოს მთავრობა.

წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, ახალი რედაქციით ყალიბდება კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, მინისტრი უფლებამოსილია საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადა დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს გაუგრძელოს 1 წლამდე. (ალტერნატივა 1. **მინისტრი უფლებამოსილია საქართველოს მთარობასთან შეთანხმებით, როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადა დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს გაუგრძელოს 1 წლამდე;".**) აღნიშნული ცვლილება გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტიდან, რომლის თანახმად საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებს, მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას, ხოლო ასეთ უფლებამოსილებას არ ითვალისწინებს სააქართველოს კონსტიტუცია. ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ინიშნება საქართველოს მთავრობის წარდგინებით, მიზანშეწონილია როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გაგრძელება შეთანხმდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან.

კანონპროექტი ითვალისწინებს დიპლომატიური რანგისათვის დაწესებული შესაბამისი დანამატის ოდენობის განსაზღვრას საქართველოს მთავრობა ნაცვლად საქართველოს პრეზიდენტისა.

კანონპროექტის თანახმად უმაღლესი დიპლომატიური რანგები შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ, საგარეო საქმეთა მინისტრის წარდგინებითა და პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით. აღნიშნული ცვლილება გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 73[1] მუხლიდან, რომლითან განსაზღვრულია პრეზიდენტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც არ საჭიროებს კონტრასიგნაციას და ეს ჩამონათვალი არ ითვალისწინებს უმაღლესი დიპლომატიური რანგის მინიჭებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტს.

გარდა ამისა, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელისათვის იმუნიტეტზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას, მინისტრის წარდგინებით, იღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ნაცვლად საქართველოს პრეზიდენტისა. (ალტერნატივა 2. ***დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელისათვის იმუნიტეტზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას, მინისტრის წარდგინებით, იღებს საქართველოს მთავრობა.***

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის ასევე კანონის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში, რომლითაც „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს პრეზიდენტს ევალებოდა მიეღო შემდეგი ნორმატიული აქტები: ,,დიპლომატიური წარმომადგენლობების ნუსხის დამტკიცების შესახებ", „დიპლომატიური სამსახურის აქტიურ რეზერვში ჩასარიცხ პირთა თანამდებობრივი ნუსხის შესახებ" და „დიპლომატიური რანგისათვის დაწესებული დანამატის ოდენობის განსაზღვრის შესახებ", შესაბამისად აღნიშნული ნორმატიული

აქტების მიღების ვალდებულება 2014 წლის 01 იანვრამდე დაეკისრა საქართველოს მთავრობას. გარდა ამისა, ,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დიპლომატიური წარმომადგენლობების ნუსხის საქართველოს მთავრობის მიერ მიღების შემთხვევაში, მისი ამოქმედებისთანავე იურიდიულ ძალას კარგავს ამ კანონის ამოქმედებამდე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი სამართლებრივი აქტი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისიწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული იმ პირების ფინანსურ ვალდებულებებთან, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის და მოსაკრებლის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგებეა ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინაარმდეგება საერთასორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავსირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქარტველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალხმრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: თედო ჯაფარიძე, ანი მიროტაძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: თედო ჯაფარიძე, ანი მიროტაძე